


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 90 (4084)

1970 წ. 9 მაისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


**დღეს შესრულდა ჩვენი ძლევამოსილი სახელმწიფოს გამარჯვების 25 წლისთავი ფაშისტურ გერმანიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში. დიდება საბჭოთა ხალხს, მის გმირულ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!**

## ზეიმს ეძღვნება

### კოჯრის სანახებში

თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის ტურიზმი დიდი პოპულარობით სარგებლობს, აქტიურად მუშაობს ამ სახეობის სექცია. სტუდენტთა გუნდი ქალაქის ჩემპიონია ადგილმდებარეობაზე სპორტულ ორიენტირებაში.

ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყო ბაიდარებით ლაშქრობა მდინარე ალაზანზე, ბახტრიონიდან მინგეჩაურის წყალსაცავამდე.

9-10 მაისს აკადემიის ტურისტული სექცია და თბილისის საქალაქო ტურისტული კლუბი კოჯრის მიდამოებში ატარებენ მასობრივ შეკრება-შეჯიბრებას, რომელიც ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების 25 წლისთავს ეძღვნება. ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ აკადემიის ყველა ფაკულტეტის გუნდები.

შეჯიბრების პროგრამაშია ზურგჩანთის ჩალაგება, რბენა დახრილ ადგილებზე, ტურისტული ორიენტირების ელემენტები, კარვის გაშლა, კოცონის გაჩაღება და წყლის ადუღება.

შეკრების მონაწილენი 9 მაისს თავს მოიყრიან კოჯორში, სადაც ღამეს საველე პირობებში გაათევენ, მოაწყობენ მასობრივ სპორტულ თამაშობებს და გააჩაღებენ მეგობრობის კოცონს.

ა. აბრამიშვილი,
თბილისის სამხატვრო აკადემიის მასწავლებელი, ტურისტული სექციის ხელმძღვანელი.

### მეორე ტრადიციული

ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა II ტრადიციული შეკრება-შეჯიბრება, რომელსაც 9-10 მაისს მცხეთის მიდამოებში ატარებენ თბილისის ტურისტული კლუბი და ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი, ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების 25 წლისთავს ეძღვნება.

პირველ დღეს მონაწილენი გამართავენ მასობრივ შეჯიბრებებს ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, შეიკრიბებიან ტურისტულ კოცონთან. 10 მაისს მოეწყობა შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში, რომლის პროგრამაშიც შედის ზურგჩანთის ჩალაგება, ჭაობის გადალახვა, კლდეზე დაშვება, ყუმბარის მიზანში ტყორცნა და სხვ.

ასპარეზობაში გამარჯვებული ხუთი გუნდი მონაწილეობას მიიღებს ასეთივე სახის რესპუბლიკურ შეკრება-შეჯიბრებაში, რომელსაც პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტი და თბილისის ტურისტული კლუბი ივლისში გაგრის მიდამოებში ატარებენ.

ო. გოგოხიძე,
თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი.

## ახალი ამბები

● ბირმინგემი, 7 მაისი. 800 მეტრი 1 წუთსა და 47,2 წამში გაირბინა ინგლისელმა სტუდენტმა, 21 წლის ჯ. დევისმა. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს ევროპაში.

● პარიზი, 7 მაისი. სოციალისტური ქვეყნების მძლეოსნები საუცხოოდ გამოვიდნენ საფრანგეთში წლეულს პირველად გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში. პოლონელმა ი. სიდლომ თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა შუბის ტყორცნაში — 86,22 მ. მან აჯობა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონს პ. ნევალას (83,46 მ) და მეორე ფინელს, მსოფლიო რეკორდსმენს ი. კინუნენს (80,70 მ). სიდლოს შედეგი წლეულს საუკეთესოა ევროპაში და მეორე — მსოფლიოში. ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. ჟივოცკიმ (უნგრეთი) 70,30 მეტრზე ტყორცნა ურო, ხოლო ევროპის ექს-რეკორდსმენმა ლ. დანეკმა (ჩეხოსლოვაკია) ყველას აჯობა ბადროს ტყორცნაში — 62,84 მ. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში.

● ფორმია, 7 მაისი. იტალიის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ე. აზარომ 217 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა, რაც იტალიის რეკორდის გამეორებაა და საუკეთესო შედეგია წლეულს ევროპაში. თანაც, აზარომ 3 სანტიმეტრით აჯობა ამერიკელ ელიოტს, რომელმაც წლეულს უკვე დაძლია 219 სმ. იტალიელმა 225 სანტიმეტრს შეუტია, მაგრამ ამაოდ. 10 კილომეტრზე რბენაში იტალიელმა ფ. არეზემ, რომელიც უფრო ცნობილია, როგორც 1500 მეტრზე მორბენალი, ერთბაშად ორ ოლიმპიურ ჩემპიონს აჯობა. გამარჯვებულის დროა 29.28,2. II ადგილზე დარჩა ჩემპიონი 5000 მეტრზე რბენაში, ტუნისელი გამუდი (29.29,0), მეორე ოქროს ოლიმპიელი, კენიელი ტემუ კი მხოლოდ მეექვსე იყო — 29.35,8. ჭოკით ხტომაში ყველას აჯობა ფ. ტრაკანელიმ (საფრანგეთი) — 510 სმ. 100-მეტრიან დისტანციაზე I ადგილი დაიკავა მსოფლიო რეკორდის თანაავტორმა, ამერიკელმა ჩ. გრინმა — 10,4 წამი. მაგრამ უკეთესი დრო (10,2 — ყველაზე სწრაფი შედეგი წლეულს ევროპაში) ნახევარფინალში აჩვენა ტრინიდადელმა ე. რობერტსმა. 400 მეტრზე ქალთა რბენა მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა კ. ბესონმა (საფრანგეთი) — 53,6. მეორე იყო შვედი ე. ლიუნდგრენი — 53,9.

## 20 45

◆ ლეიდენი, 8 მაისი. ადგილობრივი საჭადრაკო საზოგადოების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საინტერესო შეჯიბრება — ოთხი დიდოსტატის მატჩ-ტურნირი ბ. სპასკის გამარჯვებით დამთავრდა: მსოფლიო ჩემპიონმა 7 ქულა მოაგროვა 12-დან. ბ. ლარსენთან (დანია) და ი.-ჰ. დონერთან (ჰოლანდია) შეხვედრებში სპასკიმ გაიმარჯვა ერთნაირი ანგარიშით — 2,5 ქულა 4-დან, ხოლო მ. ბოტვინიკთან მატჩი ყაიმით დაამთავრა — 2:2. II ადგილზეა 42 წლის დონერი, რომელსაც 6 ქულა დაუგროვდა. ბოტვინიკსა და ლარსენს 5,5-5,5 ქულა აქვთ.

◆ ბუდაპეშტი, 8 მაისი. 13 ქვეყნის გუნდები ითამაშებენ ევროპის წყალბურთელთა I ახალგაზრდულ ჩემპიონატში, რომელიც 6-11 ივლისს გაიმართება როტერდამში (ჰოლანდია). სსრ კავშირის ნაკრები მომავალი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნიეს და ისევე, როგორ უნგრეთის, ჰოლანდიისა და იტალიის გუნდები, ქვეჯგუფის სათავეში მოაქციეს. ამრიგად, ზემოდასახელებული ოთხეულის წყალბურთელები ერთმანეთს მხოლოდ ფინალურ შეჯიბრებაში შეხვდებიან. ტურნირის დანარჩენი მონაწილეები — ინგლისის, ავსტრიის, ბელგიის, საბერძნეთის, ირლანდიის, ესპანეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ის გუნდები ჩემპიონატის წინ გამართული კენჭისყრის მიხედვით განაწილდებიან ქვეჯგუფებში. კონტინენტის I ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეობის განაცხადები და შეჯიბრების რეგლამენტი წყალბურთის მსაჯთა აქ გამართულმა საერთაშორისო კონგრესმა დაამტკიცა. კონგრესმა, რომელშიც 29 ქვეყნის 70 მსაჯი მონაწილეობდა, დაამტკიცა, აგრეთვე, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის წლევანდელი გათამაშების დებულება. წინასწარი მატჩები 6 ნოემბერს დაიწყება, ხოლო თასის მფლობელის ვინაობა ამა წლის 20 დეკემბრამდე გახდება ცნობილი.




## მანქანებითა და...ველოსიპედით — მეხიკოსკენ

გუშინწინ რიო-დე-ჟანეიროში ჩავიდნენ მარათონული ავტორალის: ლონდონ — მეხიკოს მონაწილენი. ხვალ 71 ავტომანქანა გზას განაგრძობს საკმაოდ სახიფათო ტრასაზე, რომელიც ანდებსა და კორდილიერის მთებში 5 ათასი მეტრის სიმაღლეზე გადის.

რბოლას ჯერჯერობით ლიდერობს ფრანგი ავტომობილისტი რ. ტრაუტმანი. ფრანგები, რომლებიც მართავენ „სიტროენ-დს-21"-ს, წინ არიან გუნდურ ჩათვლაშიც (მათ შესაბამისად I, III, V, VII და XIV ადგილები უკავიათ). II ადგილზე არიან ამერიკული „ფორდ-კორვეტები".

წინა და უკანა მხარე სამახსოვრო მედლისა, რომელიც ფეხბურთელთა IX მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა დაამტკიცა ამ ასპარეზობის აღსანიშნავად.

აფპ — საკდესის ფოტო.



კალიფორნიის მკვიდრმა კ. კრატჩლოუმ „სიტროენები" და „ფორდები" დაუსწრებელ დუელში გამოიწვია — აპრილის ბოლოს ქალაქ გლენდელში სტარტი აიღო... სამგზავრო ველოსიპედით. კრატჩლოუს განზრახული აქვს მეხიკოში ავტორალის მონაწილეებზე ადრე ჩავიდეს. მართალია, ამერიკელის გზა გაცილებით უხიფათოა, მაგრამ მისი ველოსიპედის სიმძლავრეც ხომ საგრძნობლად ჩამორჩება „სიტროენებისა" და „ფორდებისას"?

* * *

სურათზე: კ. კრატჩლოუ გზაში.




# არავინაა დავიწყებული...

„არ ვიცი, რისთვის მაგონდება ჩემი წარსული"... ეს სიტყვები ამოვიკითხეთ დროისგან ფერგადასულ, გაცრეცილ დღიურში. დღიურის ავტორი მაშინ პირტიტველა ჭაბუკი იყო და იქნებ არც ჰქონდა მორალური უფლება ამის თქმისა. თუმცა, სიჭაბუკის წლებში ბევრს უფიქრია, რომ მისი ხანმოკლე ცხოვრება ლამის საუკუნის ტოლია. მოწიფულობაში კაცი ამ სიტყვებს აღარ იტყვის. მით უმეტეს, თუ მან განვლო ცხოვრების შინაარსიანი და ლამაზი გზა. ამ გზას დაადგა ოთარ დიდებულიძე ყრმობიდანვე. ამ კაცის ცხოვრება მაგალითად გამოადგება მოზარდ თაობას, ვისი მოწოდებაც არის მამულიშვილობა, სულიერი სისპეტაკე, კეთილშობილება...

... „წერილი, რომელსაც ახლა გადმოგცემთ, ჩვენმა რედაქციამ მიიღო ბერლინიდან. იგი ეძღვნება ორი ორდენის კავალერს, უფროს სერჟანტს ოთარ დიდებულიძეს. ოთარი ომამდე ფიზკულტურის ინსტიტუტში მუშაობდა. მას ახალგაზრდული გატაცებით უყვარდა სპორტი. 23 წლისა რესპუბლიკის ჩემპიონი იყო ფარიკაობაში. სპორტით გატაცება ოთარს სრულიადაც არ უშლიდა ხელს თვითგანვითარებისთვის ზრუნვაში. იგი კითხულობდა ქართველ კლასიკოსთა თხზულებებს, ტოლსტოის, დოსტოევსკის, როლანის ნაწარმოებებს. ომმა დაარღვია მისი ცხოვრების ჩვეულებრივი მსვლელობა. ომის დაწყების მეორე დღესვე ოთარ დიდებულიძე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. პირველი საბრძოლო ნათლობა მან კავკასიონის ქედთან მიიღო. და როცა დაიწყო ჩვენი ჯარების დიადი შეტევა, დიდებულიძემ მილიონობით საბჭოთა ჯარისკაცთან ერთად განვლო მძიმე, მაგრამ გმირობით აღსავსე საბრძოლო გზა: ყუბანი, დონი, დნეპრი, კიევი, ბილგაუში, პოზნანი, ბოლოს კი ბერლინი — ფაშისტური გერმანიის ბუნაგი..."

ეს გახლავთ ნაწყვეტი იმ ნარკვევიდან, რომელიც საქართველოს რადიომ სამამულო ომის ბოლო დღეებში გადასცა. მთელმა ჩვენმა რესპუბლიკამ გაიცნო სამშობლოსთვის თავდადებული, მამაცი ადამიანი, რომლის შესახებაც შთამაგონებლად მოუთხრო მსმენელებს რადიოს დიქტორმა დავით ძიგუამ. მაგრამ ყველაზე ამაღელვებელი მაინც ის არის, რომ ოთარ დიდებულიძის დედა — ქალბატონი ეკატერინე სიამაყით უსმენდა ამ გადაცემას და აკანკალებული ხელით გამალებით იწერდა შვილის დღიურში მის ტექსტს. რაზე ფიქრობდა იმ წუთებში დედა? ვინ იცის...

ბერლინიდან მობრუნებულ ოთარ დიდებულიძეს, ფაშიზმთან ბრძოლაში გამარჯვებულ ჯარისკაცს, სამართლიანად შეეძლო ეთქვა: „მე ვიცი, რატომაც მაგონდება ჩემი წარსული". ეს სიტყვები მას არასდროს არ უთქვამს. მაგრამ, საბედნიეროდ, „არავინაა დავიწყებული, არაფერია დავიწყებული". რა თქმა უნდა, მხედველობაში გვყავს ღირსეული ადამიანები, რომლებმაც თავიანთი სასახელო საქმეებით განადიდეს სამშობლო.

„არ ვიცი, რისთვის მაგონდება ჩემი წარსული..." ეს ჩანწერა დღიურში პირტიტველა ჭაბუკმა, რომელმაც შემდეგ გაიარა ომის საშინელებით აღსავსე წლები. ამ წლებმა იგი არა მარტო ნაადრევად დაავაჟკაცა, მოაკლო ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერების სიტკბო, არამედ შესძინა უთვალავი საბრძოლო მეგობარ-ამხანაგი. იგი პოლონეთის განთავისუფლებისთვის ისეთივე თავგამოდებით იბრძოდა, როგორც კავკასიონის მისადგომებთან, ანდა ქერჩთან. იქნებ ამიტომაც მიიჩნევს ოთარი პოლონეთს თავის მეორე სამშობლოდ. „არავინაა დავიწყებული..." არც პოლონელ მეგობრებს დავიწყებიათ ქართველი მეომარი, რომელიც მეორე მსოფლიო ომში პოლონეთის განთავისუფლებისთვის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოებულია „გრიუნვალდის ნიშნის" ორდენითა და სამი მედლით.

ერთ-ერთ ცნობილ მწერალს აქვს ასეთი გამონათქვამი: „მათთვის, ვისაც უბრძოლია, ომი არასდროს არ მთავრდება". ეს ქარაგმული ნათქვამია და ისე უნდა გავიგოთ, რომ ადამიანი ომს ვერასდროს დაივიწყებს, მით უმეტეს, როცა სასწორზე დევს მისი სამშობლოს ბედ-იღბალი, კაცური ღირსების გრძნობა. ამიტომაც ოთარ დიდებულიძისთვის, ჩვეულებრივი საბჭოთა მეომრისთვის, ომში არაფერი იყო შეუძლებელი...

მაგრამ, როგორც ყველა ჭეშმარიტ გმირს, ოთარსაც არ ჰქონდა ბოლომდე წარმოდგენილი ომში მის მიერ გამოვლენილი გმირობა და სიმამაცე. ამიტომ მან ცოტა არ იყოს გაოცებით დახედა ბარათს, რომელიც ამ ერთი წლის წინათ შორეული პოლონეთიდან მიიღო. კონვერტზე აღბეჭდილი იყო მისი პორტრეტი. ასეთი ბარათები ათი ათასობით გავრცელდა მეგობარ ქვეყანაში. პოლონეთის პრესა, რადიო, ტელევიზია ხშირად გადასცემდნენ საინტერესო მასალებს ოთარ დიდებულიძის შესახებ, თუმცა თვით გმირმა არაფერი იცოდა ამის თაობაზე. ჭეშმარიტად, გმირებს, სახელოვან ადამიანებს ამშვენებთ თავმდაბლობა და უბრალოება. მაგრამ, საბედნიეროდ, „არავინაა დავიწყებული..." ამას მოწმობს აუარებელი წერილი, ოთარ დიდებულიძე თავისი „მეორე სამშობლოდან" რომ ღებულობს.

... ძლიერი და ცნობილი სპორტსმენი ჯერ კიდევ ომამდე შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ხშირად მომხდარა ისეც, რომ ახალგაზრდა აღმზრდელის წინააღმდეგ საფარიკაო ბილიკზე მისივე მოწაფეები გამოსულან. და, როგორც ჭეშმარიტ მწვრთნელს შეჰფერის, ოთარ დიდებულიძეს თავისი აღსაზრდელის გამარჯვება უფრო ახარებდა. ასეთი იყო იმთავითვე ამ კაცის ბუნება. მან თავიდანვე მტკიცედ სჯეროდა, რომ ადამიანი ვერ იქნება სრულყოფილი, თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან ერთად ფიზიკურ წრთობასაც არ მიიღებს. ეს მუდამ იყო მისი მუშაობის ქვაკუთხედი. ამ მოსაზრების ჭეშმარიტებაში იგი საბოლოოდ დაარწმუნა ომის მძიმე წლებმა, როცა დროში მისგან გამჭრიახობასთან ერთად ფიზიკური ამტანობაც მოითხოვა. ადვილი სათქმელია, მაგრამ წარმოიდგინეთ, მტრის მიერ ჩაძირული ბარჟა ქერჩის სრუტეში, ყინულივით წყალში ჩავარდნილი ადამიანი, რომელიც ტყვიის წვიმაში მიიკვლევს გზას შორეული ნაპირისკენ. ასეთ განსაცდელში ხშირად ყოფილა ოთარ დიდებულიძე, მაგრამ სულიერმა სიმტკიცემ, რკინისებურმა სხეულმა ყველა დაბრკოლება გადალახა.

ომის შემდეგ ოთარ დიდებულიძე კვლავ საყვარელ საქმიანობას დაუბრუნდა. იგი ოცნებობდა იმ დღეზე, როცა შაშხანას უწყინარი საფარიკაო იარაღით შეცვლიდა და ეს სურვილი აუსრულდა კიდეც. პირველ ხანებში ოთარი თავის აღსაზრდელებთან ერთად სწავლობდა და იხსენებდა ომის წლებში მივიწყებულ საფარიკაო ხერხებს. შემდეგ კი მდიდარმა გამოცდილებამ, საქმის ცოდნამ და სიყვარულმა იგი რესპუბლიკის ერთ-ერთ გამოჩენილ მწვრთნელად აქცია. მისმა პირველმა აღსაზრდელებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს საკავშირო სარბიელზე.

განსაკუთრებით გაახარეს მწვრთნელი იმ დროს საკმაოდ ცნობილმა მოფარიკავეებმა გ. გოგელიამ და გ. დათიაშვილმა. ორივე სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. ეს სია დაუსრულებლად შეგვიძლია გავაგრძელოთ...

ვისაც ერთხელ მაინც განუცდია თავისი აღსაზრდელის გამარჯვებით გამოწვეული სიხარული, ვისაც არასდროს ელევა სათქმელი და რჩევა-დარიგება, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღე, მისთვის სპორტი არასდროს მთავრდება. და, რა თქმა უნდა, არ მთავრდება იგი ოთარ დიდებულიძისთვისაც.

„არ ვიცი, რისთვის მაგონდება ჩემი წარსული..." ეს ჩანაწერი დღიურში გააკეთა პირტიტველა ჭაბუკმა, რომელსაც ცხოვრების რთული და შინაარსიანი გზა ჰქონდა გასავლელი. წან ღირსეულად გაიარა ეს გზა, მას ბევრი რამ აქვს მოსაგონარი, მაგრამ ის ჭაბუკური ცეცხლი და შემართება დღემდე არ განელებია. ახლაც უანგაროდ ემსახურება ეს ღვაწლმოსილი ადამიანი ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

* * *

ამ სურათებზე აღბეჭდილია პოლონური ჟურნალის „კრაი რადის" გაშლილი გვერდი, რომელიც ო. დიდებულიძეს ეძღვნება.

# ასე ვიმარჯვებდით

ჩვენს პრესაში და წიგნებში ბევრი დაიწერა იმის შესახებ, თუ როგორი ვაჟკაცობით, თავგანწირვითა და გამარჯვების ღრმა რწმენით იბრძოდნენ ქართველი მეომრები საბჭოთა არმიის რიგებში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. მაგრამ არსად წამიკითხავს იმ წარმატებებზე, რომლებიც ქართველ სპორტსმენებს სამშობლოდან დაცილების პერიოდში მოუპოვებიათ. ამიტომ ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების 25 წლისთავის აღსანიშნავად მინდა ჩვენს მკითხველს ერთი ეპიზოდი ვუამბო.

დიდი სამამულო ომი ის-ის იყო დამთავრდა ძლევამოსილი საბჭოთა არმიის გამარჯვებით, როცა ანაპის 414-ე წითელდროშოვან ქართულ დივიზიაში მივიღეთ ბრძანება და დებულება ფეხბურთში საბჭოთა არმიის პირველობის ჩატარების თაობაზე. დებულების თანახმად, შეჯიბრებები უნდა ჩატარებულიყო ლეგიონებს, დივიზიებს, შენაერთებს, არმიებსა და სამხედრო ოლქებს შორის.

ჩვენს 1053-ე საარტილერიო ლეგიონში ამ ღონისძიების ჩატარება მე დამავალეს. პირველი დიდი წინააღმდეგობა, რომელსაც იმთავითვე წავაწყდი, ინვენტარი იყო. გამოგვიყვეს სამხედრო ფეხსაცმელი, რომელიც დიდი გაჭირვებით ბუცებად ვაქციეთ, მაისურების სანაცვლოდ წითლად შევღებეთ პერანგები, გამოვძებნეთ შავი ტრუსები და ვიპოვეთ ყველაზე მთავარი — ბურთი. რომელიღაც სიმფეროპოლელ ბავშვს დავტყუეთ ფრენბურთის ძველი ბურთი, დავარღვიეთ იგი და მივეცით დივიზიაში განთქმულ ხარაზს, რომელმაც სასწრაფოდ შეასრულა საბრძოლო დავალება და სავარჯიშოდ რამდენიმე ბურთი ჩაგვაბარა.

1945 წლის მაისის ბოლოსთვის უკვე ნამდვილი ბურთები გვქონდა. ვემზადებოდით საგულდაგულოდ და რამდენიმე საწვრთნელი მატჩიც ჩავატარეთ. ანაპის ქართული დივიზიის პირველობა ჩვენმა საარტილერიო ლეგიონმა მოიპოვა.

დივიზიის მეთაურის ბრძანებით მე დამევალა დივიზიის ნაკრების ჩამოყალიბება და ოლქის პირველობისთვის მომზადება. ადრე ჩატარებული შეჯიბრებების პერიოდში ბევრი ნაცნობი ფეხბურთელი გამოიძებნა, რომლებსაც საქართველოს პირველობაზე და სხვა დიდ შეჯიბრებებშიც ეთამაშათ. საბოლოოდ გუნდში თავი მოვუყარეთ ტექნიკურად და ფიზიკურად საკმაოდ ძლიერ ფეხბურთელებს. საჭირო იყო მათი შეთამაშება და საამისოდ არც ერთ ჩვენგანს ძალ-ღონე არ დაუშურებია. გუნდის მზადებაში დიდ დახმარებას გვიწევდნენ დივიზიის პოლიტგანყოფილება და სამნეო ნაწილის ხელმძღვანელობა.

1945 წლის 1 ივლისს სიმფეროპოლის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თავრიზის სამხედრო ოლქის პირველობა ფეხბურთში. სტადიონის ტრიბუნები სავსე იყო მაყურებლებით. ჩვენს გუნდს დიდი დატვირთვა დააწვა: დღეგამოშვებით მოგვიხდა 8 მატჩის ჩატარება... ამ დღეებში თუ კი სადმე იყო ქართველი სამხედრო მსახური, მატჩებზე დასწრება ყველას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა. ჩვენც ვგრძნობდით ამ ყურადღებასა და სიყვარულს და გაორკეცებული ძალით ვიბრძოდით გამარჯვებისთვის.

პირველი მატჩი საზენიტო ნაწილის ფეხბურთელებთან გვქონდა. თამაშის წინ ყველანი ფიცს ვდებდით: „გამარჯვება და მხოლოდ გამარჯვება", და ძალასაც არ ვიშურებდით ამ ფიცის შესასრულებლად. ტრიბუნიდან გამამხნევებელი შეძახილები არ გვაკლდა და ჩვენც არ დავრჩენილვართ ვალში — გავიმარჯვეთ ანგარიშით 8:1. ქართული დივიზიის ღირსებას იცავდნენ ნ. ქურდაძე, ო. სულაბერიძე, გ. მორჩილაძე, ვ. ბუმბეიშვილი, გ. ცინცაძე, გ. ბერძენიშვილი, ა. შიხინოვი, გ. ზარიაშვილი, შ. დაუშვილი, ვ. კონჯარია, ს. ტატიშვილი, ო. ევგენიევი და ლ. შოგირაძე.

პირველ გამარჯვებას მოჰყვა ახალი წარმატებები და ისიც ასეთი ანგარიშით — 6:0, 4:0, 4:1, 5:0. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი მატჩი ამ ანგარიშითაც კი დამთავრდა — 18:2. ძლიერი წინააღმდეგობა გაგვიწიეს მხოლოდ 815-ე დივიზიისა და შავი ზღვის ფლოტის გუნდებმა, რომლებიც შესაბამისად დავამარცხეთ 3:1 და 2:0.

ოლქის პირველობა ჩვენი დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა. საზეიმო ვითარებაში გადმოგვცეს თასი და დიპლომები. იმავე დღეს სამხედრო ოლქის სარდლის ბრძანებით ნაკრები გუნდის შედგენა დამაკისრეს. რასაკვირველია, ამ დროისთვის უკვე სრული საფეხბურთო ალჟურვილობა გვქონდა. ოლქის ნაკრების ბირთვს ჩვენი გუნდი წარმოადგენდა, ხოლო სხვა კოლექტივებიდან ავიყვანეთ მოროზოვი, კამენევი, კოზლოვი, კლიმოვი, დეევი, ხარიტონოვი და სხვანი. ჩვენს ნაკრებს სიმფეროპოლის ოფიცერთა სახლის გუნდის სახელი დაერქვა.

შემოდგომისთვის ყირიმის ჩემპიონობა მოვიპოვეთ და თასის მფლობელიც გავხდით. ვითამაშეთ ისეთ ცნობილ გუნდებთან, როგორიც არიან მოსკოვის „სპარტაკი", ხარკოვის „ლოკომოტივი", ოდესის „პიშჩევიკი", სიმფეროპოლის „დინამო" და სხვ. შემდეგ მონაწილეობა მივიღეთ საბჭოთა არმიის პირველობის ფინალურ თამაშებში და შევხვდით კიევის, ოდესის, ლვოვის, ვორონეჟის, ხარკოვის ოლქების გუნდებს.

1945 წლის გვიან შემოდგომით კვლავ ჩატარდა ოლქის პირველობა და 414-ე ქართული დივიზიის გუნდმა ისევ მოიპოვა თავრიზის სამხედრო ოლქის ჩემპიონობა.

ლ. შოგირაძე.

# ომგადახდილი პრობლემისტი



შამათი სამ სვლაში.

ეს საჭადრაკო ამოცანა ცნობილმა თბილისელმა პრობლემისტმა რ. თავარიანმა 26 წლის წინათ შეადგინა ჰოსპიტალში.

... ჰიტლერულ ურდოებზე გამარჯვება შორს აღარ იყო. იდგა 1944 წელი. საბჭოთა არმია მტერს მისსავე ბუნაგში ანადგურებდა. მოწდოკიდან მოდიოდა გვარდიელ არტილერისტთა ოცეული, რომელსაც რევაზ თავარიანი მეთაურობდა. 1941 წლის შემოდგომიდან იგი ფრონტზე იყო, სიკვდილს ბევრჯერ გაუსწორა თვალი, დაიჭრა კიდეც, მაგრამ კვლავ დაუბრუნდა ფრონტელ ამხანაგებს. ბელორუსიის ტყეებში ახალგაზრდა მეთაური ისევ მძიმედ დაიჭრა.

და აი, ჰოსპიტალში რ. თავარიანმა ბავშვობის გატაცება გაიხსენა: ამოცანებს ადგენდა. ახალ ნაწარმოებს იქვე ჰყავდა პირველი შემფასებლები. ამოცანამ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ამ „კრიტიკოსებსაც" გაუძლო და დროსაც. შეეცადეთ ამოხსნათ იგი.

ომის შემდეგ რ. თავარიანმა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და სახელი გაითქვა საჭადრაკო კომპოზიციის სამყაროში. ახლა იგი ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია და კვლავ გატაცებით თხზავს ამოცანებს, ეტიუდებს, მონაწილეობს კონკურსებში.

თ. გიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## უმაღლესი ჯგუფი

**სიმფეროპოლი,** 6 მაისი. აქ შედგა ჩემპიონატის მორიგი მატჩი მოსკოვის „დინამოსა" და „ჩერნომორეცს" შორის.

დინამოელებმა გაიმარჯვეს კოზლოვის ერთადერთი ბურთის წყალობით — 1:0.

### გათამაშების. ცხრილი

მდგომარეობა 9 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 9 | 5 | 3 | 1 | 14—6 | 13 |
| ცსკა | 8 | 5 | 2 | 1 | 15—2 | 12 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 8 | 5 | 2 | 1 | 18—1 | 12 |
| „დინამო" (კიევი) | 8 | 5 | 2 | 1 | 8—4 | 12 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 8 | 3 | 5 | 0 | 8—2 | 11 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 8 | 4 | 3 | 1 | 8—4 | 11 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 7 | 4 | 2 | 1 | 12—1 | 10 |
| „ზარია" (ვოროშილოვგრადი) | 9 | 3 | 3 | 3 | 5—10 | 9 |
| „არარატი" (ერევანი) | 8 | 3 | 2 | 3 | 5—5 | 8 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 9 | 2 | 4 | 3 | 5—7 | 8 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 8 | 1 | 5 | 2 | 10—10 | 7 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 9 | 2 | 2 | 5 | 5—8 | 6 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 8 | 2 | 2 | 4 | 7—11 | 6 |
| „პახთაქორი" (ტაშკენტი) | 9 | 1 | 4 | 4 | 6—18 | 6 |
| „დინამო" (მინსკი) | 8 | 1 | 3 | 4 | 4—6 | 5 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 8 | 1 | 3 | 4 | 5—11 | 5 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 8 | 0 | 2 | 6 | 5—17 | 2 |

# „ფეიენოორდი" — ღირსეული გუნდი

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ფეხბურთში დაწესდა ფრანგული სპორტული გაზეთ „ეკიპის" წინადადებით და პირველად 1956 წელს გათამაშდა. მისი მფლობელები სხვადასხვა დროს იყვნენ „რეალი" (მადრიდი), „ბენფიკა" (ლისაბონი), „მილანი", „ინტერნაციონალე" (მილანი), „სელტიკი" (გლაზგო), „მანჩესტერ იუნაიტედი".

როგორც ხედავთ, საპატიო პრიზის მფლობელი არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევითი, იღბლად გასული გუნდი. ყველა ზემოჩამოთვლილი კლუბი ღირსეულია.

ასეთივე ღირსეულად უნდა მივიჩნიოთ ჩემპიონთა თასის ახლანდელი მფლობელი — როტერდამის „ფეიენოორდი" (ჰოლანდია).

შეიძლება ვინმე არ იცნობდეს ამ კლუბს? მაშინ გაგაცნობთ მის ისტორიას. კლუბი ჩამოყალიბდა 1908 წელს, ბევრჯერ იყო თავისი ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი. „ფეიენოორდს" ერთობ თვალსაჩინო წარმატებები აქვს მოპოვებული საერთაშორისო ასპარეზზე, თუნდაც, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. კერძოდ, 1962-63 წლების გათამაშებაში მან მიაღწია ნახევარფინალს, სადაც დამარცხდა ლისაბონის „ბენფიკასთან". თასის წლევანდელ გათამაშებაში კი სწორედ „ფეიენოორდმა" აჯობა მარცხი ამ პრიზის შარშანდელ მფლობელს — იტალიის „მილანს".

6 მაისს, მილანის „სან-სიროს" სტადიონზე, „ფეიენოორდი" ფინალურ მატჩში შეხვდა გლაზგოს „სელტიკს". პროგნოზისტთა უმეტესობა წარმატებას „სელტიკს" უქადდა, ვინაიდან შოტლანდიელ ფეხბურთელებს საერთაშორისო სარბიელზე უფრო იცნობენ. მაგრამ მატჩის მსვლელობამ დაამტკიცა ჰოლანდიელთა სერიოზული და სავსებით სამართლიანი პრეტენზიები.

თასის ფინალური მატჩი ჩვენ ტელევიზიით ვნახეთ. „ფეიენოორდი" თავის მრისხანე ნეტოქეზე უფრო მრავალმხრივი, ტაქტიკურად გაცილებით მდიდარი, შინაარსიანი და მახვილგონივრული იყო. შოტლანდიელები თამაშობდნენ ათლეტურად, მძლავრად, მაგრამ მათი მეტოქე მეტ ოსტატობას და ხელოვნებას იჩენდა. რად ღირდა თუნდაც მეკარე გრააფლანდის თამაში. იგი თამამი და გაბედული იყო, ალებულ ბურთს არასოდეს უმისამართოდ არ გზავნიდა წინ — თავისუფალ პარტნიორს მონახავდა და ფაქტიურად თვითონ იწყებდა იერიშს. ტაქტიკური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა დაცვისა და ნახევარდაცვის მოქმედება. შეტევის წინა ხაზზე საუკეთესოდ მოქმედებდნენ კინდვალი, მულერინი, ჰაზილი.

ანგარიში შოტლანდიელებმა გახსნეს. 30-ე წუთზე „ფეიენოორდის" კარში დაინიშნა საჯარიმო, რომელიც კარგად გაითამაშეს გლაზგოელებმა და „სელტიკის" სტოპერმა ჯემელმა ძლიერი დარტყმით მეტოქის კედელში გააძვრინა ბურთი — 1:0. წუთის შემდეგ ჰოლანდიელებმა მსგავს სიტუაციაში გაიტანეს საპასუხო ბურთი: მისი ავტორიც მე-3 ნომერი — იზრაილი იყო, ოღონდ ესაა, რომ მან თავით გაგზავნა ბურთი შორეულ კუთხეში.

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ—1:1. დამატებითი დრო დასასრულს უახლოვდებოდა და ცვლილება ანგარიშში არ ჩანდა. როცა შეხვედრის დამთავრებას სულ 3 წუთი აკლდა, ჰოლანდიელებმა გრძელი გადაცემით გაითამაშეს კომბინაცია, „სელტიკის" მცველს ისღა დარჩა, რომ ხელით ეთამაშა თავის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ მატჩის არბიტრმა ფ. ლობელომ (იტალია) არ გააჩერა თამაში, ვინაიდან ბურთს დაეუფლა კინდვალი, მეკარის პირისპირ გავიდა და გაიტანა გამარჯვების გოლი — 2:1. „ფეიენოორდი" ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა.

# თერთმეტი გამარჯვებული ერთი სასწავლებლიდან

გაიმართა პროფტექნიკური სასწავლებლების რესპუბლიკური პირველობა თავისუფალ და საქალაქო ჩემპიონატი — კლასიკურ ჭიდაობაში. ხალიჩაზე გამოვიდა 100-ზე მეტი ჭაბუკი.

თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ: ს. ღამბაშიძე, ნ. ქათამაშვილი (ორივე — თბილისის 31-ე სასწავლებელი), ი. ლეგაშვილი (თბილისის მე-5 სასწავლებელი), ა. პოპოვი (თბილისის მე-11 სასწავლებელი), ვ. იმერლიშვილი, ა. ზიზიაშვილი (ორივე — 31-ე სასწავლებელი), ო. ჯუმათია (რუსთავის მე-17 სასწავლებელი), ბ. მგალობლიშვილი (31-ე სასწავლებელი), ვ. რეხვიაშვილი (მე-11 სასწავლებელი), გ. ჩუხაშვილი (მე-17 სასწავლებელი).

„კლასიკოსთა" შორის I ადგილები დაიკავეს: გ. ქუჯაშვილმა, ა. აილაზიონმა (ორივე — 31-ე სასწავლებელი), ნ. მაჭარაშვილმა (სურამის მე-14 სასწავლებელი), ე. კურატიშვილმა (თბილისის მე-6 სასწავლებელი), გ. ჯიქიამ, რ. ბურდულმა (ორივე — 31-ე სასწავლებელი), ლ. თათარაშვილმა (მე-6 სასწავლებელი), თ. კიკნაძემ (31-ე სასწავლებელი), ი. ჩერტკოევმა (მე-6 სასწავლებელი), ნ. მირაქოვმა (31-ე სასწავლებელი).

აღსანიშნავია 31-ე სასწავლებლის მოჭიდავეთა წარმატება. ამ გუნდის თერთმეტმა წევრმა ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა, რაც მოწმობს, რომ სასწავლებელში (ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, სასწავლებლის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ბოგვერაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ყიფიანი) ჭიდაობის ორივე სახეობას დიდი ყურადღება ექცევა.

**ტ. ვაშარაძე.**

## სსრ კავშირის პირველობა

### I ჯგუფი

6 მაისს გაიმართა მორიგი ტური. თბილისის „ლოკომოტივი" რიგაში დამარცხდა ადგილობრივ „დაუგავასთან" — 0:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: ასკ (კიევი) — „კუბანი" (კრასნოდარი) 2:0, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 2:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 2:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 2:0, ასკ (ხაბაროვსკი) — „პამირი" (დუშანბე) 0:0, „კაირათი" (ალმა-ათა) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 2:0, „შახტიორი" (კარაგანდა) — „ალგა" (ფრუნზე) 2:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „მოლდოვა" (კიშინიოვი) 1:0.

7 მაისს: „რუბინი" (ყაზანი) — „კარპატი" (ლვოვი) 3:2, „დინამო" (ლენინგრადი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 6 | 5 | 1 | 0 | 10—0 | 11 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 6 | 4 | 2 | 0 | 6—1 | 10 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 6 | 4 | 1 | 1 | 11—4 | 9 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 6 | 2 | 4 | 0 | 7—3 | 8 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 6 | 3 | 2 | 1 | 7—5 | 8 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 6 | 3 | 2 | 1 | 6—5 | 8 |
| ასკ (კიევი) | 6 | 3 | 1 | 2 | 10—5 | 7 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 6 | 2 | 3 | 1 | 3—2 | 7 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 6 | 2 | 2 | 2 | 4—2 | 6 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 6 | 2 | 2 | 2 | 8—7 | 6 |
| „კაირათი" (ალმა-ათა) | 6 | 2 | 2 | 2 | 8—7 | 6 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 6 | 2 | 2 | 2 | 6—5 | 6 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 6 | 2 | 2 | 2 | 3—7 | 6 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 6 | 1 | 3 | 2 | 6—8 | 5 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 6 | 2 | 1 | 3 | 4—6 | 5 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 6 | 1 | 2 | 3 | 8—8 | 4 |
| „პამირი" (დუშანბე) | 6 | 1 | 2 | 3 | 4—6 | 4 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 6 | 1 | 2 | 3 | 3—6 | 4 |
| „დაუგავა" (რიგა) | 6 | 1 | 2 | 3 | 3—8 | 4 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 6 | 1 | 2 | 3 | 5—13 | 4 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 6 | 0 | 3 | 3 | 1—6 | 3 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 6 | 0 | 1 | 5 | 2—11 | 1 |

### II ჯგუფი

#### მეორე ზონაში

მოგვყავს 6 მაისს ჩატარებული მატჩების შედეგები: „სტალი" (ვოლგოგრადი) — „დინამო" (კიროვაბადი) 2:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 1:0, „ლოკომოტივი" (კალუგა) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 1:0, „დინამო" (ბრიანსკი)— „მაშუკი" (პიატიგორსკი) 0:1, „მეტალურგი" (ტულა) — „დრუჟბა" (მაიკოპი) 2:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 2:0, „სალუტი" (ბელგოროდი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 5:3, „ვოლგა" (გორკი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 1:1, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „დინამო" (მახაჩყალა) 2:0.

კარგად ითამაშეს ბათუმის დინამოელებმა, რომლებმაც კალინინში სძლიეს ადგილობრივ „ვოლგას" — 1:0.

გორის „დილამ" რიბინსკში წააგო შეხვედრა „სატურნთან" — 1:2.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 6 | 5 | 1 | 0 | 10—1 | 11 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 6 | 4 | 2 | 0 | 8—2 | 10 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 6 | 4 | 2 | 0 | 8—3 | 10 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 6 | 4 | 1 | 1 | 6—4 | 9 |
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 6 | 3 | 2 | 1 | 6—2 | 8 |
| „დინამო" (ბათუმი) | 6 | 3 | 2 | 1 | 7—4 | 8 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 6 | 3 | 2 | 1 | 4—3 | 8 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 6 | 3 | 2 | 1 | 5—5 | 8 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 6 | 3 | 1 | 2 | 10—2 | 7 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 6 | 2 | 3 | 1 | 8—5 | 7 |
| „ვოლგა" (გორკი) | 6 | 2 | 2 | 2 | 8—10 | 6 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 6 | 2 | 1 | 3 | 10—10 | 5 |
| „დილა" (გორი) | 6 | 2 | 1 | 3 | 7—8 | 5 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 6 | 1 | 3 | 2 | 2—3 | 5 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 6 | 2 | 1 | 3 | 6—8 | 5 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 6 | 2 | 0 | 4 | 6—6 | 4 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 6 | 1 | 2 | 3 | 4—6 | 4 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 6 | 1 | 2 | 3 | 3—7 | 4 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 6 | 1 | 1 | 4 | 7—11 | 3 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 6 | 1 | 1 | 4 | 6—12 | 3 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 6 | 0 | 1 | 5 | 2—10 | 1 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 6 | 0 | 1 | 5 | 1—12 | 1 |

# სად ვითამაშოთ? — ამბობენ ქუთაისელები

თბილისის „ისნის" სტადიონზე სტარტი აიღო საქართველოს რეგბისტთა IV ჩემპიონატმა. წინა ორი ჩემპიონატისგან განსხვავებით, ამჟამად ტურნირში რესპუბლიკის წამყვანი გუნდები — „ლოკომოტივი" და „დინამოც" მონაწილეობენ.

თბილისის პირველობის 4 ფინალისტის — „ლოკომოტივის", „დინამოს", „ელმავლის", საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეგბისტთა გუნდების გარდა, სარბიელზე გამოდიან „განთიადი" და საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი — ქუთაისის „დინამო". აჭარის გუნდი საასპარეზოდ არ ჩამოვიდა. მის მაგიერ ტურნირში თბილისის „სპარტაკი" დაუშვეს, მაგრამ, ვინაიდან სპარტაკელები საქართველოს ჩემპიონატის სტარტის დღეს ერევანში, სომხეთის პირველობაში ასპარეზობდნენ, სპი-ს გუნდთან მათი მატჩი არ გამართულა. საქართველოს პირველობა ქუთაისის „დინამოსა" და „განთიადის" შეხვედრით დაიწყო.

მაყურებლები და სპეციალისტები ქუთაისელებს იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. შარშან ბათუმში გამართულ ჩემპიონატში ქუთაისელები გააზრებულად და კოლექტიურად თამაშობდნენ და თბილისის გუნდებთან მძაფრ მეტოქეობაში I ადგილი დაისაკუთრეს. „განთიადმა" კი მხოლოდ „ბ" ჯგუფში ბრძოლით გაიკაფა გზა ფინალისკენ.

მატჩი მართლაც ქუთაისელთა იერიშით დაიწყო, მაგრამ მათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს, ვინაიდან ზედმეტად ფაციფუცობდნენ მეტოქის ჩასათვლელი მოედნის ახლოს. პირველი ტაიმის დასასრულს განთიადელები დაჯარიმდნენ. საჯარიმო კარგად გამოიყენა ნ. ჭეიშვილმა — 3:0.

შესვენების შემდეგ ქუთაისელები მხოლოდ ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდნენ და ინიციატივას მასპინძლები დაეუფლნენ. მატჩის დამთავრებას 10 წუთი აკლდა, როცა თბილისელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი რეალიზაცია კარგად შეასრულეს და დაწინაურდნენ — 5:3.

აი, აქ კი ქუთაისელებს ნერვებმა უმტყუნეს — დაიწყეს მაჯთან კამათი, უხეშობა. შეხვედრის ბოლოს განთიადელი თ. ერაძე უწესოდ ეთამაშა ქუთაისელ ს. ტყეშელაშვილს. დინამოელმა იქვე მოინდომა სამაგიეროს გადახდა და შეხვედრის მსაჯმა ნ. კაჭარავამ ორივე მოთამაშე მინდვრიდან გააძევა.

შეხვედრის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ საგანგებო სხდომაზე გააფრთხილა ორივე გუნდის მწვრთნელები, რომ ამგვარი უხეშობის გამეორების შემთხვევაში დამნაშავე გუნდი შეჯიბრებიდან მოიხსნებოდა. კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მინდვრიდან გაძევებულებს პირველობის დამთავრებამდე აეკრძალოთ თამაში.

„ლოკომოტივისა" და „ელმავლის" შეხვედრა დამთავრდა „ლოკომოტივის" გამარჯვებით — 27:6.

მეორე ტურის წინ „სპარტაკი" ერევნიდან გამარჯვებული დაბრუნდა: იქ ქართველმა რეგბისტებმა პირველობა მოიპოვეს. სომხეთის ჩემპიონებისთვის საქართველოს პირველობის სტარტი უხეირო გამოდგა: ისინი თბილისის „დინამოსთან" დამარცხდნენ — 3:42.

გადაჭარბება არ გამოგვივა, თუ ვიტყვით, რომ „ლოკომოტივისა" და „დინამოს" თამაში უფრო წერტილს ჰგავს, ვინაიდან ამ ორ წამყვან კოლექტივს ჯერჯერობით სათანადო მეტოქეობას ვერც ერთი გუნდი ვერ უწევს.

„განთიადის" რეგბისტებმა, რომლებმაც წინადღით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს, ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ლოკომოტიველებს — რკინიგზელების 58 ქულას ვერც ერთით ვერ უპასუხეს.

ქუთაისის „დინამოს" წაგება ბევრს შემთხვევითობად მიაჩნდა. ამიტომ დინამოელთა შეხვედრა სპი-ს რეგბისტებთან დიდ ინტერესს იწვევდა. მოლოდინი არ გამართლდა: მატჩის ბედი უკვე პირველ ნახევარში გაირკვა, როცა სტუდენტები საგრძნობლად დაწინაურდნენ — 25:0. შესვენების შემდეგ მათ ანგარიში კიდევ უფრო გაზარდეს. საბოლოოდ — 45:6.

ქუთაისელთა გუნდის მწვრთნელს ჟ. ქურციკიძეს ვთხოვეთ აეხსნა ამ წარუმატებლობის მიზეზი:

— ერთადერთი შეჯიბრება, სადაც შეგვიძლია თავი შევამოწმოთ, საქართველოს პირველობაა. ქუთაისში არა გვყავს რეგბისტთა მეორე კოლექტივი, რომელთანაც სისტემატური თამაშით შეიძლება კლასი ავიმაღლოთ. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მიზეზია. მთავარი ისაა რომ ჩვენთვის ქუთაისში სავარჯიშო მოედანი ვერა და ვერ გამოიძებნა. გუნდის რა წარმატებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩემპიონატში საასპარეზოდ წამოსვლამდე მხოლოდ სამი მეცადინეობის ჩატარება შევძელით, — გვითხრა მწვრთნელმა.

**რ. აიწურაძე.**

# თბილისის „სპარტაკი" — სომხეთის ჩემპიონი

სომხეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მიწვევით თბილისის „სპარტაკის" რეგბისტთა გუნდი მონაწილეობდა სომხეთის ღია ჩემპიონატში, რომელშიც მასპინძელთა „დინამო", „სპარტაკი" და „აშხატანქი" გამოდიოდნენ.

ქართველმა რეგბისტებმა მასპინძლებთან სამივე შეხვედრა მოიგეს — „დინამო" დაამარცხეს ანგარიშით 15:9, „სპარტაკი" — 44:9, „აშხატანქი" — 33:3 და I ადგილიც დაისაკუთრეს. ჩემპიონატის საუკეთესო რეგბისტად აღიარებულ იქნა ა. კიკალიშვილი, ბომბარდირი კი გახდა მ. ნიჟარაძე, რომელმაც გუნდს 25 ქულა შესძინა. აღსანიშნავია ისიც, რომ მატჩებს საუკეთესოდ სჯიდა თბილისელთა მწვრთნელი ჯ. ქევლიშვილი, რისთვისაც სომხეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა.

თბილისის „სპარტაკი" ერევანში გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: კოტრიკაძე, თაქთაქიშვილი, ფაცია, შარვაძე, მიქაბერიძე, მაჭავარიანი, ქადაგიშვილი, გელოვანი, კილასონია, შენგელია, ნიჟარაძე, კიკალიშვილი, ელენტი, ბიჯაძოვი, გიორგაძე, კაცობაშვილი, ვადაჭკორია და სირბილაძე.

მატჩები მიმდინარეობდა საუკეთესო მოედნებზე და დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა.

**დ. თაქთაქიშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ერევანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 562 ამოცანა და ეტიუდი

ჟურნალმა „შახმატი ვ სსსრ“ აპრილის ნომერში გამოაქვეყნა სსრ კავშირის IX ჩემპიონატის შედეგები საჭადრაკო კომპოზიციაში. შეჯიბრების ოთხივე განყოფილებაში — ეტიუდებში, ორ, სამ და მრავალსვლიან ამოცანებში მონაწილეობა მიიღო 92 საჭადრაკო კომპოზიტორმა, რომლებმაც 562 ამოცანა და ეტიუდი წარმოადგინეს.

ეტიუდისტთა პაექრობაში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ოსტატმა ან. კუზნეცოვმა (მოსკოვი) — 106 ქულა. ვერცხლის მედალი ხვდა საერთაშორისო ოსტატ ჰ. კასპარიანს (ერევანი) — 99, ბრინჯაოსი — საერთაშორისო ოსტატ გ. კოროლკოვს (ლენინგრადი) — 63.

პირველობაში თბილისელი ეტიუდისტებიც მონაწილეობდნენ. ვ. ნეიძემ (14,5 ქულა) X-XI ადგილები გაიყო ყ. დოლგოვთან (კრასნოდარის მხარე), საერთაშორისო ოსტატმა გ. ნადარეიშვილმა (9,5 ქულა) XIV ადგილი დაიკავა, ვ. კალანდაძემ და რ. თავარიანმა (2-2 ქულა) XVIII-XIX ადგილები გაიყვეს.

ორსვლიან ამოცანათა ჩემპიონატში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ საერთაშორისო ოსტატი ვ. ჩეპიჟნი (მოსკოვი) — 99, ს. შედეი (ხარკოვი) — 78, საერთაშორისო ოსტატი ლ. ლოშინსკი (მოსკოვი) — 75,5.

სამსვლიან ამოცანებში სსრ კავშირის ჩემპიონი კვლავ ლოშინსკი (129,5 ქულა) გახდა. ვერცხლის მედალი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა ა. გრინ-მა (92); ბრინჯაოსი — საერთაშორისო ოსტატმა ი. ვლადიმიროვმა (ორივე — მოსკოვი) — 78,5.

მრავალსვლიან ამოცანათა შეჯიბრებაში პირველი სამი ადგილი დაიკავეს: ვ. ვლასენკომ (ხარკოვის ოლქი) — 81, ვ. გოლუბიხმა (ურალსკი) — 79, ი. ვლადიმიროვმა — 70,5.

# 16 ფინალისტის საქმენი



## კელეს — პირადი დაცვა
## მწვრთნელებს უფლება აქვთ...

მეხიკო, 7 მაისი. ბრაზილიელი ფეხბურთელები, რომლებიც პირველნი ჩამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყანაში, გვადალახარაში „გამაგრდნენ“. ხასტუმროს, სადაც ისინი ცხოვრობენ, პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები იცავენ. მათ დავალებული აქვთ ფეხბურთელების დაცვა გულშემატკივრების შემოსევისგან და მათთვის მშვიდი ატმოსფეროს შექმნა. განსაკუთრებულ მზრუნველობას პელეს მიმართ იჩენენ. მას ჰყავს პირადი დაცვა — საიდუმლო პოლიციის ოთხი აგენტი, რომლებიც ერთი ნაბიჯითაც არ სცილდებიან „ფეხბურთის მეფეს“. სიფრთხილის ეს ზომები იმ ამბავმა გამოიწვია, რომ გვადალახარაში გავრცელდა ამ ცნობილ ფეხბურთელზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ.

საფეხბურთო ციებ-ცხელება აქ უკვე ნამდვილ ავადმყოფობად იქცა. პროგნოზი პროგნოზს მოსდევს. კერძო კომპანიების ჯგუფმა, მაგალითად, მნიშვნელოვანი ფულადი პრიზი აღუთქვა მექსიკელებს, რომლებიც პირველი ქვეჯგუფის თამაშების შედეგებს იწინასწარმეტყველებენ. ამ ქვეჯგუფში მექსიკის ნაკრები გამოდის.

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის დედაქალაქში ჩამოვიდა ინგლისის ნაკრებიც. დელეგაციის ყველა წევრი სავსებით დარწმუნებულია, რომ ჟიულ რიმეს თასს კვლავ ლონდონში ექნება ბინა. ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ აეროდრომზე განაცხადა, რომ მისი გუნდი ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე 1966 წელს იყო, როცა ჩემპიონობა დაისაკუთრა. „ჩვენ მივმართავთ შემადგენლობაში მანევრირებას, რათა სიმაღლის პრობლემა გადავჭრათ“ — თქვა მწვრთნელმა. როცა ჰკითხეს, მეტისმეტად „ხნიერი“ ხომ არ არის თქვენი გუნდიო, რამსეიმ მხრები აიჩეჩა და მიუგო: „ეგ მე აზრადაც არ მომსვლია. ჩემთვის საინტერესოა მოთამაშეთა არა ასაკი, არამედ სპორტული ფორმა“.

ციურიხი, 7 მაისი. ფიფა-ს შტაბ-ბინამ მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს აცნობა, რომ 16 ფინალისტი გუნდის ყველა მწვრთნელს უფლება აქვს მეტოქის ნებისმიერი მოთამაშე ამოირჩიოს და დოპინგზე შეამოწმოს. ამასთან, მწვრთნელი ვალდებულია შეიტანოს გარკვეული ფულადი გადასახადი. თუ ანალიზმა სპორტსმენის მიერ დოპინგის გამოყენება დაამტკიცა, სამედიცინო კომისია ფულს უკან აბრუნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს თანხა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას მოხმარდება.

## 0:0

სოფია, 6 მაისი. 40 ათასი მაყურებელი დაესწრო ვ. ლევსკის სახელობის სტადიონზე ბულგარეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა მეორე ნაკრები გუნდების ამხანაგურ შეხვედრას.

თამაში დამთავრდა ფრედ (0:0) და ამაში უმთავრესად „ბრალი“ მიუძღვით ორივე გუნდის მეკარეებს — რუდაკოვსა და ფილიპოვს, რომლებმაც ბევრი ძნელი ბურთი აიღეს. 25-ე წუთზე პუზაჩმა და მატჩის დასასრულს ბულგარელთა თავდამსხმელმა იაკიმოვმა საჯარიმო დარტყმებიდან ძელს მოახვედრეს ბურთი.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: ბულგარეთი — ფილიპოვი, გაიდარსკი, დიმიტროვი (ალადიევი), გაგანელოვი, დავიდოვი, ტ. კოლევი, მარინოვი (პოპოვი), იაკიმოვი, პეტკოვი (ასპარუხოვი), მიხაილოვი, მიტკოვი; სსრ კავშირი — რუდაკოვი, ლოგოფეტი, შესტერნიოვი (კაპლიჩნი), ზიკოვი, ხურცილავა (ძოძუაშვილი), სერებრიანიკოვი (კისელიოვი), მეტრეველი (პორკუიანი), აფონინი, პუზაჩი, ნოდია, ხმელნიცკი.

## შვებულება რამდენიმე დღით

6 მაისს ბულგარეთიდან სსრ კავშირში რამდენიმე დღით დაბრუნდა ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ფეხბურთელებმა რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა გამართეს შვეიცარიის, საფრანგეთისა და ბულგარეთის გუნდებთან. ახლა, ხანმოკლე შვებულების შემდეგ, 10 მაისს საბჭოთა ნაკრები გაემგზავრება ოკეანეს გაღმა, ითამაშებს კოლუმბიასა და ეკვადორში, რის შემდეგ ჩავა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩების მასპინძელ ქვეყანაში — მექსიკაში.

სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა განაცხადა, რომ მისი აზრით ყველა ის 22 ფეხბურთელი, ვინც ბულგარეთში იყო საწვრთნელ შეკრებაზე, სათანადო ფორმაშია და მექსიკაშიც წავა.

### „მორმოლაჭებიანი ჰოკეი“

სან-ხუანი. არგენტინის ამ ქალაქში გაიმართა გორგოლაჭებიანი ციგურებით ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატი. გაიმარჯვა ესპანეთის გუნდმა, ხოლო ბოლო ადგილი იაპონელებმა დაიკავეს, რომლებმაც ვერც ერთი ქულა ვერ მოაგროვეს. ეს იყო XIX ჩემპიონატი და მასში 11 გუნდი მონაწილეობდა.

## ჭადრაკი

## ყურადღების ცენტრში — ისევ ფიშერი

ზაგრებში დამთავრდა „მშვიდობის ტურნირი“ — მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. I ადგილი დაიკავა რ. ფიშერმა (აშშ) — 13 ქულა. II-V ადგილები გაიყვეს ვ. სმისლოვმა და ვ. კორჩნოიმ (ორივე — სსრ კავშირი), ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია), ს. გლიგორიჩმა (იუგოსლავია) — 11-11 ქულა. VI ადგილზე გავიდა ტ. პეტროსიანი (სსრ კავშირი) — 10,5.

დასკვნითი, XVII ტურის წინ დიდ ინტერესს იწვევდა ფიშერის გადადებული პარტიები უ. ბრაუნთან (ავსტრალია) და კორჩნოისთან. თამაშის განახლებისას ფიშერმა შეძლო ბრაუნის მატერიალური უპირატესობის უვნებელყოფა და ყაიმს მიაღწია. მან კორჩნოისთან პარტიაც ყაიმით დაამთავრა.

XVII ტურში ფიშერი და პეტროსიანი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დასრულდა კოვაჩევიჩ (იუგოსლავია) — სმისლოვისა და ჰორტ — მაროვიჩის (იუგოსლავია) შეხვედრებიც. კორჩნოიმ მოუგო პარმას (იუგოსლავია), ხოლო გლიგორიჩმა — გიცესკუს (რუმინეთი).

ამრიგად, ამერიკელმა დიდოსტატმა ფიშერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა დედამიწაზე. ამიტომ ძალიან სასურველია მისი მონაწილეობა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში (მალიორკა, დეკემბერი). მაგრამ ფიშერს ამ ტურნირში თამაშის უფლება არა აქვს (მას არ უთამაშია აშშ-ს ჩემპიონატში, სადაც ამ შეჯიბრების საგზურები განაწილდა). ფიქრობენ, რომ 1500 დოლარად პ. ბენკო (აშშ) თავის ადგილს დაუთმობს ფიშერს. ამავე დროს, შვეიცარიის ჭადრაკის მესვეურებმა ფიდე-ს წინაშე დააყენეს საზონათშორისო ტურნირის 24-ე მონაწილედ ფიშერის დაშვების საკითხი. აგვისტოში შედგება ფიდე-ს კონგრესი, სადაც ალბათ ამ საკითხსაც განიხილავენ.

## სამი ტურის შედეგები

ლეიდენში (ჰოლანდია) მიიწურა ოთხი დიდოსტატის საჭადრაკო მატჩ-ტურნირი. დასკვნითი, XII ტურის წინ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ბ. სპასკი (სსრ კავშირი) — 6,5 ქულა, ი. დონერი (ჰოლანდია) — 5,5, მ. ბოტვინიკი (სსრ კავშირი), ბ. ლარსენი (დანია) — 5-5.

გთავაზობთ სამი ტურის შედეგებს: IX ტური. ბოტვინიკი — სპასკი 0,5:0,5, დონერი — ლარსენი 0,5:0,5. X ტური. ბოტვინიკი — დონერი 0,5:0,5, სპასკი — ლარსენი 0,5:0,5. XI ტური. დონერი — სპასკი 0,5:0,5, ლარსენი — ბოტვინიკი 1:0.

## ამჯერად — ვენაში

დღეს ვენაში (ავსტრია) იწყება ევროპის მოჭადრაკე ვაჟთა IV გუნდური პირველობა, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, იუგოსლავიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დანიისა და ესპანეთის გუნდები.

სსრ კავშირის ნაკრებმა სამჯერ გაიმარჯვა ამ ტრადიციულ ტურნირში. ამჯერად საბჭოთა გუნდში არიან დიდოსტატები ტ. პეტროსიანი, ვ. კორჩნოი, ვ. სმისლოვი, პ. კერესი, ე. გელერი, ლ. პოლუგაევსკი, მ. ტაიმანოვი, რ. ხოლმოვი, ლ. შტეინი, ა. გიპსლისი და მოსკოვის ჩემპიონი, ოსტატი ი. ბალაშოვი.

## ალმოსავლეთი, დასავლეთი...

△ პარიზი. ველოსიპედისტთა ტრადიციულ შეჯიბრებაში — პარიზი — რუბე იმარჯვა ბელგიელმა ე. მერქსმა, რომელმაც 266 კმ 6 საათში, 23 წუთსა და 15 წამში დაფარა.

△ მეხიკო. ავტოკატასტროფის დროს დაიღუპა ცნობილი მექსიკელი მოყვარული ველოსიპედისტი რადამეს ტრევინო, რომელმაც 1969 წლის 6 მარტს ერთსაათიან რბოლაში მსოფლიო რეკორდი (46 კმ 995 მ) დაამყარა.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 12 მაისს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

ვლდეზე ციცვა. მეტეხის კლდე. დღეს: გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული საჩვენებელი შეჯიბრება. დასაწყისი 11 ს.

ხელბურთი. კიროვის პარკის მოედნები. 9-18 მაისი. საქართველოს იუნიორთა პირველობა. დასაწყისი 17 ს.

მძლეოსნობა. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 9-11 მაისი. საქართველოს პროფსაბჭოს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელთა შეჯიბრება ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების 25 წლისთავის აღსანიშნავად. დასაწყისი 16 ს. საზეიმო გახსნა 10 მაისს 10 ს.

კლასიკური ჭიდაობა. ფალავანთა კლუბი. დღეს: რესპუბლიკური უნივერსიადა. დასაწყისი 12 ს.

ჭადრაკი. „დინამოს“ კლუბი. 9-12 მაისი. რესპუბლიკური უნივერსიადა. დასაწყისი 36 ს.

წყალბურთი. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის აუზი. დღეს: რესპუბლიკური უნივერსიადა. დასაწყისი 19 ს.

თავისუფალი ჭიდაობა. ფალავანთა კლუბი. 9-10 მაისი. რესპუბლიკური უნივერსიადა. დასაწყისი 12 ს.

ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა. თბილისის ზღვა. დღეს: რესპუბლიკური უნივერსიადა. დასაწყისი 17 ს.

ბადმინტონი. მედინსტიტუტის სპორტდარბაზი. 9-10 მაისი. რესპუბლიკური უნივერსიადა. დასაწყისი 10 ს.

ფეხბურთი. 10 მაისი. საქართველოს პირველობა. „ისნის“ სტადიონი. „ისანი“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი). დასაწყისი 17 ს. 30 წ. „სინათლის“ სტადიონი. „სინათლე“ (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი). დასაწყისი 18 ს.

„ლოკომოტივის“ სტადიონი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




დღეს

სსრ კავშირის თასის გათამაშება „ა“ კლასის გუნდებისთვის.

„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი)

დასაწყისი 19 ს.

## თბილისის სპორტის სასახლე



9-31 მაისი
ცირკი
საერთაშორისო პროგრამა

მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის მსახიობები.

დასაწყისი 20 ს., შაბათობით და კვირაობით — 15 და 20 ს.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის, ცირკისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში. მიიღება კოლექტიური განაცხადები.

ცნობები ტელეფონით: სპორტის სასახლე — 36-20-54, 36-01-55, ცირკი — 93-58-66, 99-85-27.



საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) 10 მაისიდან დამატებით გაიხსნება ბავშვთა, ქალთა და ვაჟთა სპეციალური ფასიანი სააბონემენტო გამაჯანსაღებელი ჯგუფები ცურვაში.

მსურველებს შეუძლიათ ვარჯიშისთვის აირჩიონ ნებისმიერი დრო 7-დან 22 საათამდე.

აბონემენტის შესაძენად საჭიროა მოქალაქემ იცოდეს ცურვა და წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა პოლიკლინიკიდან.

აუზის ტელეფონებია 22-61-00, 22-77-59 და 22-55-40.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 81 უე 03242